# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში
MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

"מנורה"
עיתון יהודי בגורגיה

``МЕНОРА``
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი
(ელული)
1-15
№17 (281)
(5768 წელი)
2008 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה


## დღეს ნომერში:




ისრაელის ქნესეთის სპიკერი დალია იციკი:
– საქართველო ისრაელის მეგობარი ქვეყანაა და არ ძალუძს გულგრილი დარჩეს ნგრევის საშინელი სურათებისადმი ..........IIგვ.





წარმოგიდგენთ ისრაელის ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბ-ნ იცხაკ გერბერგს ................................ IIგვ.

"ჯოინთის" საქმიანობაზე აგრესიის დღეებში გვესაუბრება სერგო კლასოვი..........IIIგვ.

ომის ქარცეცხლში ჩავარდნილთა რეპატრიაციაზე გვესაუბრება "სოხნუთის" წარმომადგენელი გრიგორი ბროდსკი........................................................... Vგვ.

"ედიოთ ახრონოთის" რედაქტორი შილო დებირი ქართველი ექიმების მაღალ პროფესიონალიზმზე .......................................................................VIგვ.

ისრაელის ქართველი ებრაელობის დიდი მხარდაჭერა............ VIგვ.







რუსეთის მეგობარი "ხამასი"............ VIგვ.

არიელ ლევინის საკვირაო საუბარი ... VIIგვ.

შალომ დავითის ახალი თარგმანი.................................... გვ.VII

## ისრაელის ქნესეთის სპიკერი დალია იციკი:
# ისრაელი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა



„მენორას“ რედაქციასთან კავშირი აქვს ისრაელის ქნესეთის წევრს აბრამ მიხაელს (მიხელაშვილი), რომელიც გახლავთ ისრაელ-საქართველოს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე. როგორც ბ-ნმა აბრამ მიხაელმა გვაცნობა, საქართველოში ჰუმანიტარული მისიით ჩამოვლენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ისრა-ელელი ექიმები, რათა ადგილზევე უმკურნალონ საომარი მოქმედების დღეებში დაჭრილ მებრძოლთ და სამოქალაქო პირთ.

ქნესეთის წევრმა აბრამ მიხაელმა ისიც გვითხრა, რომ ქნესეთის დეპუტატები ჩამოვლენ საქართველოში, ნაომარ ქალაქებსა და სოფლებში, რათა შეისწავლონ, თუ რა დახმარების აღმოჩენაა აუცილებელი.

— ისრაელი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა და მას არ ძალუძს გულგრილი დარჩეს ნგრევის იმ საშინელი სურათებისადმი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ — განაცხადა დალია იციკმა საგანგებო სხდომაზე — ისრაელის პარლამენტი ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს დაზარალებულ ქვეყანას.

დალია იციკმა სწორედ აბრამ მიხაელს სთხოვა საქართველოში მიმავალი დელეგაციის დაკომპლექტება.

— ისრაელის სახელმწიფო სწორედ გახლეჩილი ხალხის გაერთიანების სიმბოლოა და ჩვენ ვიცით ხალხთა დახმარება, მაშინ როცა მათ თავს რაიმე უბედურება ტრიალებს. — თქვა ქ-მა სპიკერმა.

# ისრაელი-საქართველო

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა განაცხადა, რომ ისრაელმა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასცა ხელოვნური სუნთქვის ორი აპარატი და ხუთი კარდიოგრაფი, ხოლო საქართველოს „წითელ ჯვარს“ გადაეცა „ლენდ როვერის“ ფირმის სასწრაფო დახმარების მანქანა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ისრაელის სახელგანთქმულ სამედიცინო ცენტრში „რამბამი“ გადაიყვანეს ორი სამხედრო მოსამსახურე. უახლოეს ხანს თბილისში ჩამოვა ისრაელელ ექიმ-ტრავმატოლოგთა ჯგუფი. ისინი აქ, თბილისსა და გორში აღმოუჩენენ მაღალპროფესიულ სამედიცინო დახმარებას იმ ადამიანებს, რომლებმაც რუსეთის აგრესიის დღეებში მიიღეს დაზიანება.

საქართველოსადმი ჰუმანიტარული დახმარება დაისახა მიზნად ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატამ, მისი ხელმძღვანელი იციკ მოშე ამ მიზნით ისრაელში გაემგზავრა.

— ჩვენ გვსურს მეგობრულ სახელმწიფოს — საქართველოს აღმოვუჩინოთ დახმარება, რათა შევამსუბუქოთ სამხედრო კონფლიქტისას დაზარალებულ ადამიანთა მძიმე ხვედრი. შექმნილი მდგომარეობა არა-რა ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს ისრაელელთა ინვესტიციებზე საქართველოში — თქვა ბიზნეს პალატის ხელმძღვანელმა იციკ მოშემ.

2სექტემბერს საქართველოისრაელის ბიზნეს-პალატის ეგიდით ისრაელს სამკურნალოდ გადაიყვანეს 17 ქართველი მებრძოლი.



# მუშაობას შეუდგა ისრაელის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი



***დაიბადა 1953 წლის 13 დეკემბერს, ჰყავს მეუღლე, შიფი გერბერგი და სამი შვილი: იანივი (21), აიალა (16), ტომერი (10).***

**სამსახურებრივი გამოცდილება:**

2005-2007 წ.წ: თავდაცვის ეროვნული კოლეჯი, ინსტრუქტორი 2004-2005 წ.წ: საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი.
2002-2003 წ.წ: არარეზიდენტი ელჩი მოზამბიკში, ნამბიაში, ზამბიაში, ბოცვანასა და მალავიში.
1999-2002 წ.წ: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზიმბაბვეში.
1996-1997 წ.წ: კონსული; ისრაელის საკონსულო შანხაიში (ჩინეთი).
1992-1996 წ.წ: კონსული; ისრაელის საკონსულო ბომბეიში (ინდოეთი).
1985:1989 წ.წ: მეორე მდივანი, ისრაელის საელჩო მანილაში (ფილიპინები).

**განათლება:**

2007 წ.: დოქტორის ხარისხი საერთაშორისო პოლიტიკაში, სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტი (UNISA).
1998-1999 წ.წ.: პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, ჰაიფის უნივერსიტეტი.
1998-1999 წ.წ: ისრაელის თავდაცვის ეროვნული კოლეჯის კურსდამთავრებული.
1990-1991 წ.წ: დევისის უნივერსიტეტი – ახალი მსოფლიო წესრიგის მიმართულებით.
1983-1984 წ.წ: საგარეო საქმეთა სამინისტროს კადეტთა კურსი.
1982-1986 წ.წ: მასობრივი კომუნიკაციების მაგისტრი, ებრაული უნივერსიტეტი (იერუსალიმი).
1979-1980 წ.წ: მასწავლებლის დიპლომი სოციალურ მეცნიერებებში, თელ-ავივის უნივერსიტეტი.
1976-1980 წ.წ.: პოლიტიკურ მეცნირებათა ბაკალავრი, თელ-ავივის უნივერსიტეტი.

# კაბალათ-შაბათი გორელებთან ერთად

22 აგვისტოს თბილისის ებრაული სახლი შაბათის მობრძანებას საზეიმოდ შეეგება. არაერთხელ აღუნიშნავთ აქ კაბალათ-შაბათი, ამჯერად კი ყოველივე ექსპრომტად მოხდა — გორიდან დევნილი ებრაელების პატივსაცემად. ებრაულმა სახლმა ამით დიდი სიურპრიზი გაუკეთა გორელებს და კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ისინი მარტო არ არიან.

გორელებთან ერთად კაბალათ შაბათზე მოვიდნენ „ჯოინთის“ კანტრი-დირექტორი ბატონი იცხაკ ავერბუხი, შაულ დრიტერი, ამირ ბენ ცვი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში სერგო ვლასოვი, მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ავიმელეხ როზენბლატი, გორის გაბაი მოშე ბააზაშვილი, სოხნუთის წარმომადგენელი გორში ბესო მანაშეროვი.

გორელებსა და უცხოელ სტუმრებს თავდაპირველად სიტყვით მიმართა „ხესედ-ელიაჰუს“ დირექტორმა და თბილისის ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა რევაზ შათაშვილმა:

— ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ამ საშინელებას დააღწიეთ თავი და ჩამოხვედით გორიდან. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ებრაულ თემში არ არის მსხვერპლი. ჩვენს დასახმარებლად თბილისში ჩამოვიდნენ ბატონები ავერბუხი, შაული და ამირი, ისინი უკვე ერთი კვირაა, აქ იმყოფებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქართველი ებრაელების დახმარებაში. აღსანიშნავია, რომ ისინი თავად იყვნენ გორში და ცხინვალში, რათა ჩვენი მოძმეები გამოეყვანათ იქიდან. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ დღეს საქართველოში მძიმე ვითარებაა, მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, მარადიორობა, ხალხი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლები. დიდ მადლობას გიხდით, რომ დატოვეთ თქვენი საქმეები და ჩამობრძანდით თბილისში ჩვენს დასახმარებლად. ამ მოკლე დროში "ჯოინთმა" გააკეთა ძალზედ ბევრი რამ გორელი ებრაელების დასახმარებლად, არ დარჩენილა არცერთი ოჯახი, რომლისთვისაც დახმარება არ გაგვეწია. მე დარწმუნებული ვარ, რომ იქნება მშვიდობა და თქვენ სულ მალე დაუბრუნდებით თქვენს სახლებს.

გორელებს სიტყვით მიმართა ასევე „ჯოინთის“ კანტრი-დირექტორმა იცხაკ ავერბუხმა:

— მე ბევრი ენა ვიცი, ქართულის გარდა, მაგრამ ჩემი სახელის გვერდით ყოველთვის მესმის სიტყვა ბატონი, რაც ჩვენებურად პურს ნიშნავს. მაგრამ მხოლოდ პური არ არის საკმარისი, აქ ებრაულ სულს ვხედავ და სწორედ თქვენი სულით და ჩვენი პურით შევქმნით ტაძარს, სადაც ებრაელი ხალხი ძველებურად განაგრძობს თავისი ტრადიციებითა და ადათებით ცხოვრებას. ამიტომ ჩვენ ბედნიერები ვართ, თუ შევძელით რაიმეთი დახმარება.

გორელებს მიმართა სერგო ვლასოვმა:

— მოხარული ვარ, რომ ჩვენ ისევ შევიკრიბეთ ებრაულ სახლში და ერთად აღვნიშნავთ კაბალათ-შაბათს. სახლი,მართალია, დაკეტილი იყო, მაგრამ მას არ შეუწყვეტია იმ ძველი პროგრამების განხორციელება, როგორც თბილისში, ისე სრულიად საქართველოში. მე მივესალმები ჩვენს მეგობრებს, რომლებიც პირველივე დღიდან ჩვენს გვერდით იმყოფებიან და მაქსიმალურად გვეხმარებიან, 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და საკუთარი ხელებით გამოყავდათ გორიდან ხალხი. ამ ადამიანებმა ძალზე ორგანიზებულად მოახერხეს ჩვენი ებრაელების დახმარება.

"ჯოინთმა", ებრაულმა სახლმა, "სოხნუთმა", უცხოელმა სტუმრებმა, ევრაზიის ებრაულმა კონგრესმა უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს გორელ ებრაელებს, რისთვისაც ებრაული თემი ყოველთვის მადლიერი იქნება მათი. ამის დასტურად გორიდან დევნილმა ებრაელმა ქალბატონმა მარინა მოშიაშვილმა-დავარიშვილისამ ამაღელვებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

— საქართველოს, ჩვენს სამშობლოს, უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს. ქალაქ გორს მოუხდა ყველა იმ საშინელების გადატანა, რაც თან ახლავს ომს, ქალაქი დაიბომბა, შენობები დაიწვა, ხალხი დაიღუპა, განადგურდა ინფრასტრუქტურა, ხალხის გულებში დაიბუდა უიმედობამ, რომ ეს ყველაფერი არასოდეს დამთავრდებოდა,. ჩვენ გორიდან იმის იმედით წამოვედით, რომ ხვალ ისევ დავბრუნდებოდით, მაგრამ ეს ხვალ ორი კვირა გაგრძელდა. ჩვენ დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით თბილისში ნათესავებისა და მეგობრებისაგან, აღსანიშნავია „ჯოინთისა“ და „სოხნუთის“ წარმომადგენლების უზადო მხარდაჭერა.დიდი გულისხმიერება გამოიჩინა თბილისის ებრაულმა სახლმაც. მინდა ჩვენი ოჯახების სახელით, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ მატერიალური და სულიერი დახმარებისთვის, რაც თქვენ აღმოგვიჩინეთ ამ მძიმე დღეების განმავლობაში.

საღამო ჩვეულებრივი წესისამებრ გაგრძელდა, წაკითხულ იქნა ფარაშა, გორელმა ქალბატონებმა ულამაზესი რიტუალი შეასრულეს: დაანთეს სანთლები და საკუთარ სახლში მშვიდობით დაბრუნება შეთხოვეს უფალს.

მაშინ, როცა საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, ყველასათვის სასიხარულო ახალი ამბავი გაჟღერდა დარბაზში: რუსეთის ჯარი გორიდან გავიდა და უკან დაბრუნება შეგვიძლიაო. საერთო სიხარულმა მოიცვა თითოეული იქ მყოფის გული. გორელმა ბავშვებმა რამდენიმე ებრაული სიმღერაც შეასრულეს.

ალბათ, სიმბოლურია, რომ შაბათის მობრძანებას ასეთი სასიხარული ამბავი დაერთო თან და რუსის ჯარმა გორის ტერიტორია დატოვა

უფალი ფარავდეს საქართველოს, ქართველ და ებრაელ ხალხს. მრავალ ბედნიერ კაბალათ-შაბათს გისურვებთ!

**თინათინ შენგელია**

# „ის, ვინც ერთ სიცოცხლეს გადაარჩენს, გადაარჩენს მთელ სამყაროს“

## გვესაუბრება „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი



**— ბატონო სერგო, ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ რუსეთის სამხედრო აგრესიის დღეებში „ჯოინთმა“ დიდი ძალისხმევა გამოავლინა. იქნებ, დაწვრილებით გვიამბოთ იმ დღეების თაობაზე?**

— „ყოველი ებრაელი პასუხისმგებელია თავის მოძმეზე“ - ეს დევიზი, რომელსაც უკვე 94 წელია მისდევს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი “ჯოინთი”, ამ დღეებში ყოველი ჩვენთაგანისთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

როდესაც 7 აგვისტოს რუსულ-ქართული კონფლიქტი გამძაფრდა, კრიზისულ სიტუაციებში ებრაელთა გადარჩენის დიდმა ტრადიციამ “ჯოინთს” საშვალება მისცა მოეხდინა ყველა ჩვენი რესურსის მობილიზაცია და დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება.

პირველსავე დღიდან შეიქმნა შტაბი, რომელიც კოორდინაციას უწევდა ებრაული თემის წევრების ადგილსამყოფელზე ინფორმაციის შეგროვებას და მათთვის პირველადი დახმარების გაცემას.

8 აგვისტოს გორში გაგზავნილი იქნა „ჯოინთის“ პირველი ,,დესანტი“, რათა დახმარება გაეწია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურდა დაეტოვებინა ქალაქი, რომელიც იბომბებოდა.ჩვენ ვნახეთ ცეცხლმოკიდებული სახლები, აფეთქების შედეგად გაჩენილი ღრმულები, ნანგრევები, ხალხით სავსე მანქანები, რომლებიც ჩქარობდნენ დაეტოვებინათ სამხედრო მოქმედებების საშიში ზონა. თუმცა, პირველ დღეს, მიუხედავად ჩვენი შეთავაზებისა, წამოსულიყვნენ თბილისში, ბევრმა ებრაელმა არ მოისურვა თავისი სახლის უმეთვალყურეოდ დატოვება.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 9 აგვისტოს, როცა შეუწყვეტელი დაბომბვის ქვეშ მყოფი გორის და მისი მიმდებარე სოფლების მოქალაქეებმა, მათ შორის ებრელებმაც, დაიწყეს თავისი სახლების მასიურად დატოვება. თან მიჰქონდათ მხოლოდ ის ყველაზე აუცილებელი, რისი წამოღებაც მოასწრეს.

**— ცხინვალთან თუ გქონდათ რაიმე კონტაქტი?**

— ჩვენ ძალიან გვაღელვებდა იმ 19 ებრაელის ბედი, რომლებიც სამხედრო მოქმედებების დაწყების დროს ცხინვალში ცხოვრობდნენ. მაგრამ ცხინვალთან მიახლოებაც კი ვერ მოვახერხეთ, რადგან იქ მიდიოდა ომი. საქართველოს ჯარმა ჩვენი მანქანა გააჩერა სოფელ ტყვიავთან. იმის იქით იყო ომი...

ამის გამო, ჩვენ დავუკავშირდით კოლეგებს იერუსალიმში, “ჯოინთ”-ის როსტოვის ოფისს და ა. შ. მივიღეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცხინვალის მოსახლეობისთვის დერეფანი გახსნილი იყო ვლადიკავკაზში გადასასვლელად. ჩვენ ვმოქმედებდით ორი მიმართულებით: ვეხმარებოდით ხალხს გორიდან გასვლაში ( 20-ზე მეტი ადამიანი იქნა გაყვანილი), თბილისში ვეძებდით იმათ, რომლებიც თვითონ გავიდნენ გორიდან და თავშესაფარი მონახეს თბილისში— ნათესავებთან და ნაცნობებთან. ესენი საჭიროებდნენ ჩვენს დახმარებას. და ასევე ვეძებდით ცხინვალელ ებრაელებს.

**— რამდენად იგრძნობოდა იერუსალიმის „ჯოინთის“ ხელმძღვანელობის მხარდაჭერა?**

— ძალიან დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მხარდაჭერა გვქონდა იერუსალიმიდან. სწრაფი და კოორდინირებული გადაწყვეტილების მიღებაში ჩვენ გვეხმარებოდნენ ერევნის გავლით ავტომანქანით ჩამოსული (იმ დღეებში საჰაერო ფრენა არ იყო) იცხაკ ავერბუხი, შაულ დრიტერი („ჯოინთის“ რეგიონალური დირექტორები), რომლებიც პირველივე დღიდან იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. შემდგომ შემოგვიერთდა ამირ ბენცვი, რომელიც 10 აგვისტოს ჩამოფრინდა საქართველოში.

სასწრაფოდ გაიხსნა ებრაული სახლი. „ხესედ ელიაჰუ“ იქცა შტაბად, სადაც მოიპოვებოდა ინფორმაცია ლტოლვილთა საჭიროებებზე.

**— ეს იყო ერთობ დროული და ბრძნული გადაწყვეტილება.**

— დიახ, გეთანხმებით. „ჯოინთი“-ს და „ხესედ-ელიაჰუს“ თანამშრომლებმა და მოხალისეებმა შემოუარეს 130 კაცზე მეტს, გაარკვიეს მათი საჭიროებანი და სასწრაფო რეჟიმში დაიწყეს პირველადი დახმარების გაცემა. არალეგალურად, მიუხედავად იმისა, რომ გორში მანქანები ვერ შედიოდა (არც ჰუმანიტარული ტვირთის მანქანები, არც წამყვანი მასმედიის ჟურნალისტები), 9 აგვისტოდან 20 აგვისტომდე ჩვენ ვახერხებდით გორში შესვლას რუსეთის ჯარების პოსტების გავლით ზოგი ორგანიზაციის დახმარებით (დიდი მადლობა მათ).

9 აგვისტოს ჩვენი გადაუდებელი დახმარების მანქანამ (იმ მომენტისთვის უკვე „წითელი ჯვრის“ აკრედიტაციის მფლობელი) გორის მოსახლებას წაუღო პირველი ჰუმანიტარული დახმარების ნაკრებები. იმ დღეს ჩვენ შევძელით ქალაქიდან გაგვეყვანა 3 ოჯახი, რომლებსაც თბილისში საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდათ, მაგრამ გორში დარჩენა საშიში იყო.

11 აგვისტოს ჩვენ ისევ წავედით გორში. მასიური საჰაერო თავდასხმის გამო ქალაქის შესასვლელთან მოგვიწია გაჩერება. ჩვენ ვხედავდით დაზიანებულ სამხედრო ტექნიკას და ხალხს, რომლებიც ტოვებდნენ ქალაქს და ცდილობდნენ მოესწროთ თან წაეღოთ მხოლოდ ყველაზე საჭირო ნივთები.



ჩვენ ვთხოვეთ გორის ერთ-ერთ მოქალაქეს რომ წამოსულიყო ჩვენთან ერთად იმისთვის, რომ ზუსტად და სწრაფად მოვხვედრილიყავით მათთან, ვინც ჩვენს თანადგომას საჭიროებდა. ქალაქი დაგვხდა პრაქტიკულად ცარიელი.

კიდევ რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტა ქალაქიდან ჩვენთან ერთად წამოსვლა, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ არ მიატოვებდნენ გასაჭირში.

**— რა ხდებოდა ამ დროს თბილისში?**

— იმავე დღეებში, თბილისში მიდიოდა აქტიური მუშაობა. შედგენილი იქნა გორიდან წამოსული ებრაული თემის წევრთა სია. ეს სია ყოველდღიურად ივსებოდა და მიდიოდა მათი შედარება იმ სიებთან, რომლებიც ჰქონდათ ისრაელის საელჩოს საქართველოში და „სოხნუთი“-ს წარმომადგენლებს. ასეთმა კოორდინირებამ საშუალება მოგვცა რამდენიმე დღეში დაგვედგინა, თუ ვინ სად ცხოვრობს და რის საჭიროებას განიცდის, ვის შეგვიძლია დავეხმაროთ.



19 ადამიანი თბილისის სასტუმროებში მოვათავსეთ (ყველა გადასახადი დაფარა „ჯოინთ“-მა) რამდენიმე ადამიანი კი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ებრაულმა სკოლამ — ავემელეხ როზენბლატმა.

პირველივე დღიდან ყოველი მათგანისათვის „ხესედ-ელიაუს“ სამზარეულო ამზადებდა და აწვდიდა ცხელ, ქაშერ კერძებს.

იმ დღეებში გამართულ თათბირზე, რომლებშიც მონაწილეობდა თბილისში ჩამოსული „ჯოინთის“ ხელმძღვანელობა, გადაწყდა ყოველი ებრაელისთვის, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მათ შეიფარეს თბილისში, გაეწიათ დიდი დახმარება, დახმარება გაეწიათ აგრეთვე სხვა „ხესედების“ მზრუნველობის ქვეშ მყოფი ებრაელებისთვის (გორი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, ონი), რომლებიც საჭიროებდნენ ჩვენ დახმარებას.

აგრეთვე, საჭირო იყო მოგვეძებნა გორში დარჩენილი ხალხი. როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა შემდგომმა გამგზავრებამ გვიჩვენა, გორში ჩარჩენილი იყო კიდევ 27 ადამიანი. ყოველ მათგანს გადაეცა პროდუქტების კრებული — თეთრეული, ჰიგიენის ნივთები. ასეთი აქციის უზრუნველსაყოფად ღამით ჩვენ „ხესედ-ელიაჰუს“ თანამშრომლებთან ერთად სასწრაფოდ მოგვიწია ჰუმანიტარული დახმარებით დაგვეტვირთა მიკროავტობუსი, რათა დილით ადრე „წითელი ჯვრის“ კოლონასთან ერთად — გორში გავმგზავრებულიყავით...

სამხედრო კონფლიქტის ყველა დღის განმავლობაში „ჯოინთი“-ს და „ხესედ-ელიაჰუს“ თანამშრომლების და ვოლონტერების მიერ ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნველყოფილი იქნა: 288 გორელი ებრაელი, იქნა გაცემული 334 ცხელი სადილი, 129 ადამიანმა მიიღო საჭირო მედიკამენტები. უზრუნველყოფილი იქნა 82 ადამაინი ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთში, 150 ადამიანი ქუთაისში, 44 ადამიანი ონში.

სასკოლო ასაკის ოცი ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეობდა იმ ღონისძიებებში, რომლებიც „ჯოინთის“ დახმარებით იყო ორგანიზებული ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის და „ჰილელის“ მიერ.

სამხედრო კონფლიქტის დღეებში „ჯოინთმა“ ხელშეკრულება დადო „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობასთან და საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად გადასცა 50.000 დოლარი, აგრეთვე საჩუქრად გადასცა 100 თეთრეულის კომპლექტი, პირსახოცები და საბნები გორში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალს და ბავშვთა საავადმყოფოს.

ჩვენ გვინდა მადლობა ვუთხრათ ყველა იმ თანამშრომელს და ორგანიზაციებს, რომლებიც იმ მძიმე და დაძაბულ დღეებში გვერდში გვედგნენ და გვეხმარებოდნენ იმ ამოცანების რეალიზაციაში, რომელიც მიმართული იყო საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად.



# „ჯოინთის“ მუშაობას ეხმიანებიან:

იცხაკ ავერბუხს,
ამირ ბენ-ცვის,
შაულ დრიტერს,
სერგო ვლასოვს

21 აგვისტო 2008 წ.

ჯენტლმენებო,

მე ვწერ მთელი „ჯოინთ“-ის ხელმძღვანელობის სახელით, რათა გამოვხატო სიამაყე თქვენს მიერ საქართველოში ჩატარებული არაჩვეულებრივი მუშაობის გამო.

თქვენმა სწრაფმა მობილიზაციამ მოუტანა შველა და გადარჩენა მათ, ვისი ევაკუირებაც უსაფრთხო ზონაში თქვენ მოახდინეთ; დაცვა და სასიცოცხლო თანადგომა მათ, ვინც ჯერ კიდევ იმყოფებოდა ომის ზონაში. კონფლიქტი გრძელდება, მაგრამ მე მეწადა გცოდნოდათ, რომ „ჯოინთი“-ს ხელმძღვანელობა აფასებს იმ გმირობას, მამაცობას და პროფესიონალიზმს, რომელიც თქვენ გამოხატეთ იმ ებრაელებზე ზრუნვის დროს, რომლებიც დიდი საფრთხის ქვეშ მოექცნენ.

თქვენ მოქმედებდით „ჯოინთი“-ს 94 წლიანი ტრადიციებით, რომელიც გულისხმობს გასაჭირში მოხვედრილ ებრაელებზე ზრუნვას, თქვენ სამაგალითოდ ხდით ებრაულ ანდაზას: *kol Yisrael arevim ze la'ze* — ყველა ებრაელი ერთმანეთზე პასუხისმგებელია.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი მადლიერება „ჯოინთი“-ს ადგილობრივი ოფისის ყველა თანამშრომელს.

**ელენ მ. ჰელერი**
**„ჯოინთი“-ს პრეზიდენტი**

**ასლი:** *„ჯოინთი“-ს დირექტორთა სამეთვალყურეო საბჭოს, სტივ შვაგერს („ჯოინთი“-ს საერთაშორისო კავშირი)*





**ძვირფასო სერგო, შაულ, იცხაკ და ამირ!**

მე გწერთ ცენტრალური აზიის „ჯოინთ“-ის კომიტეტის და „ჯოინთის“ ხელმძღვანელობის სახელით, მსურს გადაგიხადოთ მადლობა თქვენი რთული სამუშაოსადმი გამოხატული ერთგულებისათვის.

ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აშერ ოსტრინისგან, ელიოთ გოლდშტეინისგან და სტივ შვაგერისგან.მე ვღებულობდი რეგულარულ ანგარიშებს საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე.

ვიცი, რომ თქვენ მუშაობდით ძალიან რთულ პირობებში და გამოავლინეთ არაჩვეულებრივი ერთგულება, გმირული მამაცობა ებრაელთა თემისა და თქვენი სამსახურისადმი.

არ მინდა იფიქროთ რომ ყველაფერმა ამან შეუმჩნევლად ჩაიარა.

ყოველი თქვენგანის გამო მე ვარ ამაყი, რომ მივეკუთვნები „ჯოინთ“-ის – არაჩვეულებრივ ორგანიზაციას და მას ასეთად ხდის ის ხალხი, რომელიც ასეთ დონეზე ასრულებს „ჯოინთის“ მისიას.

დიდი მადლობა ყველაფერი იმისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ და რის გაკეთებასაც მომდევნო კვირეებსა და თვეებში გააგრძელებთ.

ჩვენ ყველანი თქვენი მადლობელნი ვართ.

გისურვებთ ყველაფერ კარგს.

**კერინ ვულფ ვექსლერი**



## ჩვენ კოლეგებს თბილისის ოფისში

მე მინდა იცოდეთ, თუ როგორ ვაფასებთ და პატივს ვცემთ თქვენ მცდელობებს ამ მძიმე დროში.

მე მაქვს რეგულარული კავშირი შაულთან და ძალიან ვამაყობ იმით, რასაც თქვენ აკეთებთ ასეთ რთულ პირობებში.

ჩვენ გვაქვს იმედი და ვლოცულობთ იმისთვის, რომ მშვიდობა მალე დაბრუნებულიყოს რეგიონში და თქვენ ყველას შეგეძლოთ ყოველდღიურ მუშაობას დაუბრუნდეთ.

ეხლა კი, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ყველა ვაფასებთ თქვენ მუშაობას.

ბ'ვრახა

**აშერ ოსტრინი**

# კრიზისის დღეებში

რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ ბევრი ოჯახი აიყარა, თავისივე სამშობლოში ლტოლვილად იქცა. ამ დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თანადგომას.

ლტოლვილად იქცნენ გორში მცხოვრები ებრაელებიც.

205 ებრაული ოჯახი ჩამოვიდა თბილისში, რათა გასცლოდა სისხლისღვრას, ნგრევას.

ჩვენმა კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორს, თბილისის სათემო ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელს რევაზ შათაშვილს:

**— უამბეთ ჩვენს მკითხველს კრიზისის დღეებში როგორ მუშაობდა „ხესედ ელიაჰუ“, ებრაული სახლის ესა თუ ის პროგრამა. დღეს როგორ აფასებთ განვლილ მუშაობას?**

— სასწრაფოდ შეიქმნა გორიდან ჩამოსული ებრაელი ბავშვებისათვის ყოველდღიური მხარდაჭერის ჯგუფი. ესენი იყვნენ 5 წლიდან დაწყებული 18 წლამდე ბავშვები, 20-25 ბავშვი, ყოველდღე მოდიოდა ებრაულ სახლში. აქ მათთვის ტარდებოდა გასართობი, შემეცნებითი ღონისძიებები. ისინი დადიოდნენ ქალაქში გასართობი პროგრამით, იყვნენ ზოოპარკში, მაკდონალდსში და ა.შ. ამის გარდა, მორის კრიხელი და ლენა ბერკოვიჩი ატარებდნენ ფსიქოლოგიურ ტრენინგებს, რათა ეს ბავშვები გამოსულიყვნენ იმ შოკური მდგომარეობიდან, რომელშიც დაბომბვამ, აგრესიამ მოაქცია. ამის შემდეგ ყველა ერთად ჩადიოდა სასადილოში და სადილობდნენ.

დღეისათვის ქალაქში დარჩენილია 9 ბავშვი და მათთვის ისევ გრძელდება ეს ფსიქოლოგიური პროგრამა.

**— როგორ მუშაობდა „ხესედ ელიაჰუ“?**

— კრიზისის დღეებში ფაქტიურად გაკეთებული იყო ყველაფერი: აქ გვქონდა შტაბი, ცხელი ხაზი, სადაც ვღებულობდით ლტოლვილებს. გორიდან ჩვენ-ჩვენი მანქანებით ჩამოვიყვანეთ ბევრი ლტოლვილი და განვათავსეთ სასტუმროებში ჩვენივე სახსრებით. ისინი ყოველდღიურად იკვებებიან ჩვენთან, ვისაც ფიზიკურად არ შეეძლო ებრაულ სახლში მოსვლა, ადგილზე მიგვქონდა საკვები. მხოლოდ სასტუმროს ხარჯმა რამდენიმე ათას დოლარს გადააჭარბა.

205 კაციდან ყველამ მიიღო დახმარება, გავაკეთეთ საკმაოდ დიდი მოცულობის სასურსათო ამანათი, ჰიგიენური, პირველადი დახმარების საშუალებები, თეთრეულის კომპლექტები და სამედიცინო საშუალებები. ერთ-ერთი დაჭრილი საავადმყოფოში იწვა, მას პროტეზიც კი გავუკეთეთ, სათვალეებიც.

პრაქტიკულად, არც ერთი თხოვნა, რომელიც მათ ჩვენს მიმართ ჰქონდათ, არ დარჩენილა უყურადღებოდ, მათი მადლიერება გამოიხატა კაბალათ-შაბათის დღეს, რომელიც ჩატარდა ებრაულ სახლში და გორის თემის წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ებრაულმა სახლმა მიიღო ეს ხალხი, როგორც საკუთარმა ოჯახმა.

26 აგვისტოს გორელები, რომლებიც სასტუმროებში გვყავდა, ჩვენივე ავტობუსებით გავგზავნეთ მშობლიურ სახლებში — გორში, ყველას გავატანეთ სასურსათო ამანათები, რომ გზაში გამოეყენებინათ. მათ თან გაჰყვა გორის „ხესედის“ დირექტორი. მთავარია, რომ ყველა დაუბრუნდა საკუთარ სახლებს მშვიდობით.

კრიზისის დროს „ხესედის“ თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. ჩვენ მოვიხადეთ ჩვენი ვალი, გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ეს არის ჩვენი ებრაელობა.

**ჩაიწერა თინათინ შენგელიამ.**

# ბეით-ქნესეთის სახელით...



დღეს, როცა საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს მრავალი ქვეყანა, საქართველოსაკენ მოედინება სხვადასხვა სახელმწიფოთა ჰუმანიტარული დახმარება, არც თბილისის დიდი სინაგოგა დარჩა მოვლენების მიღმა — ამ სინაგოგის გაბაიმ, მორწმუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარემ შალვა ქოსაშვილმა 1000 კგ. ჰუმანიტარული ტვირთი — საკვები პროდუქტები გადასცა თბილისის 61-ე სკოლაში დაბანაკებულ ლტოლვილ მოსახლეობას.

# მძიმე დღეები გადავიტანეთ

## გვესაუბრება საქართველოში ებრაული სააგენტო — „სოხნუთის" წარმომადგენლობის მეთაური გრიგორი ბროდსკი

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში რუსეთის აგრესიის დღეებში „სოხნუთმა" დიდი სამუშაო ჩაატარა. გთხოვთ გვიამბოთ იმის თაობაზე, თუ რა იქნა გაკეთებული „სოხნუთის" მიერ გასაჭირში ჩავარდნილი ებრაელებსავე გადასარჩენად.**

— კონფლიქტის პირველსავე დღეს, ეს იყო 8 აგვისტო, მე ვიყავი ახალი ჩამოსული ბაქოდან. ღამით გამაღვიძა სატელეფონო ზარმა, რომელიც მატყობინებდა საქართველოში ომის დაწყების ამბავს. მაშინვე ჩავრთე კომპიუტერი, რათა გავრკვეულიყავი სიტუაციაში, შევეცადეთ იერუსალიმთან ერთად დავკავშირებოდით „სოხნუთის" დსტ—ს შტაბს, რომელსაც ხელმძღვანელობს ალექს კაცი და ბენი ლიცკი, გადავწყვიტეთ გაგვეხსნა ცხელი ხაზი „სოხნუთში"— იერუსალიმსა და თბილისში, რომელსაც ჩვენ ვეძახით „ხედერ მაცავი". ეს არის განსაკუთრებული სიტუაციების ცენტრი. გამოვაცხადეთ ჩვენი ტელეფონები, აქ შემოდიოდა დაზარალებულთა ზარები. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ყველაზე მეტი ზარი შემოვიდა საქართველოში ჩამოსული ისრაელელი ტურისტების ოჯახებიდან, და დამსვენებლებისგან, რომელთაც აინტერესებდათ საკუთარი ნათესავების ბედი. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მოქალაქეები ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მათი დახმარება.

ვმუშაობდით შეუსვენებლად, შემდეგ ეს ცხელი ხაზები ჩვენს პირად ნომრებზე გადავიტანეთ, რათა ხალხს ჩვენთან დაკავშირების საშუალება ჰქონოდა 24 საათის განმავლობაში. ეს ყველაფერი ხდებოდა მანამ, სანამ რუსეთის ჯარი დაიკავებდა გორს.

10 აგვისტოს, როცა რუსეთის ჯარმა დაიკავა გორი, მე დავუკავშირდი ბესო მანაშეროვს, იგი გახლავთ ჩვენი წარმომადგენელი გორში, მას ვთხოვე, ებრაელების გამოყვანა გორიდან, რაზეც მიპასუხა, რომ ქალაქში ავტობუსები აღარ იყო დარჩენილი, ვინც მოახერხა, უკვე გავიდა ქალაქიდანო. მაშინ, როცა რუსეთის ჯარი გორში იდგა, ჩვენ ჩვენი მანქანებით წავედით გორში იმ მოხუცთა ბედის გასარკვევად, რომლებმაც ვერ მოახერხეს გორიდან გამოსვლა. ბესო მანაშეროვის დახმარებით, ბოლო წუთებში ქალაქიდან ბევრი ქართველი ებრაელი იქნა გამოყვანილი.

11 აგვისტოს თბილისში ჩამოფრინდა ალექს კაცი, ისრაელის კორესპონდენტთან ერთად, რომელსაც უნდოდა გორში წასვლა, სამწუხაროდ, „სოხნუთის" წარმომადგენლებს წასვლის უფლება არ მოგვცეს. მათ ნახეს ოჯახები, რომლებიც ჯერ კიდევ გორში იმყოფებოდნენ და თბილისში გამოუშვეს, ზოგიერთმა ებრაელმა კი ქალაქის დატოვებაზე უარი განაცხადა, თუმცა, ებრაელების ძირითად ნაწილს უკვე დატოვებული ჰქონდა გორი.

11 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდნენ კონსულები ისრაელიდან, ესენი იყვნენ დევიდ ბენიში და მიხეილ ბარკანი, ასევე ჩამოვიდნენ ბაქოდან, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ.

ყველაზე მძიმე პერიოდი იყო მაშინ, როცა საჭირო გახდა ევაკუაცია, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის ტანკები თბილისისკენ მოდიოდნენ. სწორედ ამ ღამეს გადავწყვიტეთ თვითმფრინავების გაგზავნა ისრაელში, ყველა მსურველს საშუალება ექნებოდა ისრაელში რეპატრიაციისა. ჩვენ არ ვიცოდით, რა მოხდებოდა დილით, ყოველი შემთხვევისთვის, მოვამზადეთ 6 ავტობუსი ისრაელის მოქალაქეებისთვის: იმ შემთხვევაში, თუ აეროპორტი დაიხურებოდა, სწორედ ამ ავტობუსით გავუშვებდით მათ ბაქოში. ისრაელიდან ბაქოში გამოვიძახეთ ელჩი აზერბაიჯანში არტურ ალენკოვი, რათა მას ეხელმძღვანელა ისრაელში ხალხის რეპატრიაციისათვის.

12 აგვისტოს გადავწყვიტეთ, რომ მე ვიზრუნებდი, მხოლოდ რეპატრიაციის მსურველებზე, დანარჩენთ (ტურისტები, ბიზნესმენები, ისინი, ვინც აქ მუშაობდნენ,) მიხედავდა ისრაელის საელჩო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ 6 ავტობუსიდან ერთი იქნებოდა რეპატრიანტებისთვის, 5 კი ისრაელის მოქალაქეებისთვის. 12 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ ისრაელის მოქალაქეებისთვის 5 ავტობუსი საკმარისი არ იყო. ამიტომ დავამატეთ კიდევ ორი, საბედნიეროდ, აეროპორტი მუშაობდა და ელ-ალმა გამოგვიგზავნა ორი თვითმფრინავი ისრაელის მოქალაქეებისთვის, მათთან ერთად ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ გავგზავნიდით იმ რეპატრიანტებსაც, რომლებიც გამგზავრებას მოისურვებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ ხალხის ნახევარი იყო გორიდან უცებ წამოსული და მათთან არ ჰქონდათ საბუთები.

„სოხნუთის" ხელმძღვანელობამ დააპურა ეს ხალხი და იმავე ღამეს ისინი განვათავსეთ სასტუმროებში. ამ ექსტრემალურ სიტუაციაში ისრაელში, „სოხნუთის" წარმომადგენლების მიერ, ყველაფერი იქნა გაკეთებული, რომ შეემსუბუქებინათ აქედან ჩასულების მდგომარეობა. 37 კაცი გავამგზავრე ისრაელში. შეთანხმება იყო ასეთი: სანამ არ გავგზავნიდით რეპატრიანტებს, მანამ არ გავუშვებდით ისრაელის მოქალაქეებს. ჩვენ ვმუშაობდით ექსტრემალურ სიტუაციაში, 24 საათის განმავლობაში, ყველაზე რთული დღე იყო სწორედ 12 აგვისტო, როცა გორელებს და ისრაელელ ტურისტებს ვგზავნიდით ისრაელში. იმ დღეს შევიტყვეთ, რომ ისრაელელი ჟურნალისტი გორში მძიმედ დაიჭრა, 3 თვითმფრინავის გამგზავრების შემდეგ, ღამის პირველი საათისთვის ჩვენ წავედით საავადმყოფოში მის მოსანახულებლად, ჟურნალისტის მოსაკითხად მოვიდა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე,





ქალბატონი სანდრა რულოვსი. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ქართველი ქირურგების როლი, მე გავესაუბრე ერთ-ერთ მათგანს, რომელმაც მითხრა, რომ ჟურნალისტი ფაქტიურად მკვდარი მოიყვანეს და ოპერაცია გაკეთდა სრულიად უიმედოდ, ქართველმა ქირურგებმა მოახდინეს სასწაული და ჟურნალისტი გადარჩა, ამასვე აღნიშნავდნენ ებრაელი ქირურგები, რომლებიც ჩამოვიდნენ აქ ჟურნალისტის ისრაელში გადასაყვანად. ორი დღის წინ გავიგე, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისევ მძიმეა, თუმცა სიცოცხლისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

13 აგვისტოს ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ისრაელის ვიზებზე მოთხოვნა არ წყდებოდა, 15 აგვისტოს გავხსენით „სოხნუთი", ჩვენ ვმუშაობდით ღამის 2 საათამდე, ხალხი საკონსულოში ვიზიტის შემდეგ ჩვენთან მოდიოდა. ამ რთულ მდგომარეობაში გავაგზავნეთ 100 ადამიანზე მეტი.



ახლა ჩვენ დაკავებული ვართ ბანაკის საკითხით. რეაბილიტაციისათვის ისრაელში ვაგზავნით ქართველ ებრაელ ბავშვებს, ისინი იქ იქნებიან 16-23 სექტემბრამდე, დაისვენებენ. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ლაშა ჟვანიას თხოვნით ამ ბანაკში ჩავრთეთ 5 ქართველი ბავშვი 13-დან 16 წლამდე. „სოხნუთის" წარმომადგენელი ისრაელში იდან პესახოვიჩი გაემგზავრა ამერიკაში, მე მას ვთხოვე, მოეთხოვა ბაკურიანის ზამთრის ბანაკის დაფინანსება ქართველი ებრაელი ბავშვებისათვის და კიდევ სხვა პროექტებისათვის, რომელთა განხორციელებაც გვინდა. სამწუხაროდ, ფინანსური დახმარების გარეშე, ეს ვერ მოხერხდება, რადგან „სოხნუთის" ბიუჯეტი არცთუ ისე ბევრია.

**— 1992 წელს, როცა მიმდინარეობდა აფხაზეთის ომი, ებრაელების ევაკუაციაში, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში, მონაწილეობა მიიღეს თბილისის ებრაული თემის წარმომადგენლებმა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აგვისტოს ებრაელთა გადარჩენის ოპერაციებსი ოპერაციებში ებრაული თემის წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ.**

— ამჯერად ჩვენ არც ვგეგმავდით ევაკუაციას. ჩვენ გეგმაში არც გვქონდა ქართველი ებრაელების ევაკუაცია, ჩვენ ვაწარმოებდით ისრაელის მოქალაქეების ევაკუაციას, რომლებიც აქ ომის დაწყებამდე იმყოფებოდნენ ტურისტული ვიზიტით, ესენი იყვნენ ბიზნესმენები და ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოჩნდნენ აქ. მასობრივ რეპატრიაციას ჩვენ არ ვგეგმავდით. თუმცა, როგორც კი, გამოჩნდებოდნენ წასვლის მსურველები, უარს არ ვეუბნებოდით მათ ამ შესაძლებლობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ გორის თემის წარმომადგენელი ბესო მანაშეროვი მუდმივად იმყოფებოდა საკონსულოში, იმ შემთხვევაში თუ მათ არ ჰქონდათ თან საბუთები, ბესო მანაშეროვის სიტყვა იყო გადამწყვეტი. ჩვენ არ ვგეგმავთ მასობრივ რეპატრიაციას, ამის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა დღესაც, თუკი ვინმეს აქვს სურვილი გამგზავრების, ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით მათ. ,,აირზენა" საშუალებას გვაძლევს გავამგზავროთ რეპატრიანტები კვირა დღეს, ისე როგორც ეს ხდებოდა მშვიდობიან სიტუაციაში. მე ვიმყოფებოდი ბათუმსა და ქუთაისში, რათა შემესწავლა, თუ ვის ჰქონდა გამგზავრების სურვილი. ასეთი იქ არავინ აღმოჩნდა. ასე, რომ ჩემი მისია ამით ამოწურული გახლდათ.

**— როგორ აფასებენ „სოხნუთის" მუშაობას?**

— ჯერჯერობით არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მე სატელეფონო ჩართვა მქონდა, სადაც ვისაუბრე „სოხნუთის" საქმიანობის შესახებ.

**— ბოლო დღეებში თუ გქონდათ კავშირი გორთან?**

— გუშინწინ ვიყავი გორში, გზაში დავინახე ცეცხლმოკიდებული ტყეები. მე დავუკავშირდი ისრაელის „კერენ კაიამეთ ლეისრაელს" („ისრაელის მიწის ფონდი"), რათა მათ აღმოეჩინათ ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსთვის, რომ ამ ადგილზე კვლავ დაირგას ხეები. საბოლოოო,დადებითი, პასუხიც მივიღე ამასთან დაკავშირებით. ტექნიკურად როდის და როგორ მოხდება ამ პროექტის განხორციელება, ჯერ არ ვიცი.

**ჩაიწერა**
**თინათინ შენგელიამ**

# ისრაელის ქართველ ებრაელთა დიდი მხარდაჭერა



რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ, ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხა ქვეყანაში არაერთი საქართველოს მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობით ქართველი ებრაელობა და ისრაელში მაცხოვრებელი საქართველოს არაერთი სხვა გულშემატკივარი გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ 9 აგვისტოს, თელ-ავივში, რუსეთის საელჩოს წინ პირველი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელშიც დაახლოებით 200 კაცამდე იღებდა მონაწილეობას.

რიგით მეორე საქართველოს მხარდამჭერი აქცია რუსეთის საელჩოსთან 11 აგვისტოს შედგა და მასში უკვე 400 კაცამდე მიიღო მონაწილეობა.

ყველაზე მასშტაბური და მრავალრიცხოვანი აქცია 14 აგვისტოს გაიმართა. თელ-ავივის სანაპიროზე, აშშ-ს საელჩოდან საფრანგეთის საელჩომდე 2000-ზე მეტმა ადამიანმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრა და ასე გამოხატა თავისი პროტესტი...

16 აგვისტოს, გრინვიჩის დროით 17:00 საათზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაგეგმილ საპროტესტო ტალღას რუსეთის საელჩოსთან გამართული მორიგი 500 კაციანი დემონსტრაციით ისრაელიც შეუერთდა.

და ბოლოს, 1 სექტემბერს, ქართველი ხალხის ერთიანობის გამომხატველი ცოცხალი ჯაჭვის შეკვრის მოწოდებას, ისრაელი ქ. აშდოდის ცენტრალურ პარკში 200 კაციანი აქციით შეუერთდა.

ზემოხსენებული დემონსტრაციების სისტემატიური და მასშტაბური სახე მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო საინიციატივო ჯგუფის აქტიურობით. აღნიშნულ საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ ირაკლი იაკობაშვილი, ზაზა დავარაშვილი, დავით აჯიაშვილი, ბუხუტი ბერიაშვილი და სხვები, რომელთა თავდაუზოგავი ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება.

## „ედიოთ ახრონოთის" რედაქტორის მადლობა



12 აგვისტოს გორში მძიმედ დაიჭრა ისრაელის ერთობ პოპულარული გაზეთის „ედიოთ ახრონოთის" ჟურნალისტი ცადიკ იეხიზკიელი, რომელიც თებერვალშიც იმყოფებოდა საქართველოში. მას ყუმბარის ნამსხვრევი გულთან მოხვდა და უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს თბილისში — ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. მისი სიცოცხლე ქართველ ექიმთა მაღალკვალიფიციურობამ იხსნა. ჟურნალისტი იმავე ღამეს სპეციალური თვითმფრინავით გადაიყვანეს ისრაელში.

„ედიოთ ახრონოთის" რედაქტორმა შილო დებირმა მაღალი შეფასება მისცა მთელი კლინიკის პროფესიონალიზმს, მისი დირექტორის ზაზა სინაურიძის, ექიმების: მერაბ კილაძის, თემურ ბეშქენაძის და გიორგი ლურსმანაშვილის პროფესიონალიზმს.

— „ედიოთ ახრონოთის" რედაქცია გამოთქვამს დიდ მადლიერებას ქართველი ექიმების მიმართ იმ ადამიანთმოყვარეობისა და სოლიდარობისათვის, რომელიც მათ გამოავლინეს ისრაელელი ჟურნალისტის მიმართ. ეს ფაქტი გახდა ორი პატარა სახელმწიფოს, ორი თავგანწირული და ქედუხრელი ხალხის — ქართველი და ებრაელი ხალხის დიდი მეგობრობის დემონსტრაცია.

## ფერი ფერსაო...

რუსეთმა კიდევ ერთი ნაწილი წაგლიჯა საქართველოს.

რუსეთის აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ განაპირობა ლუსტრაცია, რომელმაც გამოავლინა არა მხოლოდ ის, თუ ვინ არის საქართველოს მეგობარი, ისიც, თუ ვინ არის შენიღბული, შეუმჩნეველი მტერი.

უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს არც ისე ბევრი მტერი ჰყოლია და ისინიც რუსეთისადმი ერთგულებამ დააპირისპირა ჩვენთან.

რუსეთის აგრესიას საქართველოში მხარი დაუჭირა კუბამ, ვენესუელამ, სირიამ, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა: „ხესბოლამ" და „ხამასმა".

ხოლო რუსეთის კვალდაკვალ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა სცნო ტერორისტულმა დაჯგუფება „ხამასმა", ეს სწორედ ის დაჯგუფებაა, რომელიც აშქელონს ისევე უშენდა ყუმბარებს, როგორც რუსები — გორს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს მიულოცა ასეთი პარტნიორის პოვნა.

„მენორას" რედაქცია უერთდება ამ მილოცვას — ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო.



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (თბილისში დაბადებული) სერგეი ლავროვი და „ხამასის" ლიდერი ჰალედ მაშალი.**

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?3

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი

# შოფტიმ



კვირის საკითხავ თავში „შოფტიმ“ საუბარია ებრაელი ხალხის მართვის ძირითად პრინციპებზე: ებრაულ სასამართლოზე და კანონებზე მოსამართლეთა შესახებ, ებრაელი მეფის დანიშვნაზე.

მოშე უხსნიდა ებრაელებს, რომ ყველა იმ ქალაქში, სადაც ებრაელები ცხოვრობენ, უნდა იყოს ებრაული სასამართლოები, სადაც ხალხს გაასამართლებენ თორის კანონების მიხედვით. საკითხების გადასაწყვეტად მინიმუმ სამი მოსამართლეა საჭირო. მათ აქვთ ფინანსური საკითხების გადაჭრის უფლება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს კი ისინი არ წყვეტენ (საინტერესოა, რომ ზოგიერთმა სხვა ხალხმაც გადაიღო ეს და სტალინის დროს შეიქმნა ცნობილი სამეულები, რომლებიც ასამართლებდნენ ხალხს, მაგრამ თორის კანონებისაგან განსხვავებით, მათ სიკვდილის განაჩენის გამოტანაც შეეძლოთ). მცირე სანჰედრინი შესდგებოდა 23 მოსამართლისაგან, რომელთაც ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება. დიდი სანჰედრინი კი შედგებოდა 71 მოსამართლისაგან, რომლებიც ყოველდღიურად ატარებდნენ სხდომებს ტაძრის შენობაში. ბუნებრივია, რომ ისინი წყვეტდნენ განსაკუთრებით რთულ და მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად, თუ ებრაელთა მეფე ომს აპირებდა, თანხმობა დიდი სანჰედრინისაგან უნდა მიეღო. იმის გარდა, რომ დიდი სანჰედრინის წევრები თორაში ღრმად განსწავლულნი უნდა ყოფილიყვნენ, მათ უნდა სცოდნოდათ ის 70 ენა, რომლებზედაც მეტყველებდნენ იმ პერიოდის ხალხები. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ მოესმინათ თითოეული მოწმისათვის იმ ენაზე, რომელზედაც ის მეტყველებდა (ანუ თარგმანის გარეშე).

მოსამართლეებს ეხმარებოდნენ „შოტრიმ“ ისინი, ვინც ამოწმებდნენ, თუ როგორ სრულდებოდა მოსამართლეთა გადაწყვეტილებები.

თორა მოსამართლეებისაგან მოითხოვს უზადო პატიოსნებას და გამბედაობას სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

თალმუდი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ებრაელი მეფის იანაის (მაკავეების გვარიდან) მონამ (ყმამ) მკვლელობა ჩაიდინა. რაბი შიმონ ბენ შეტახმა, დიდი სანჰედრინის უფროსმა, მეფე სასამართლოში მოიწვია. მეფემ მიიღო გამოწვევა და სასამართლოში მიბრძანდა. ის ყველანაირად აჩვენებდა მოსამართლეებს, რომ უმჯობესი იყო ყმა (მონა) გაემართლებინათ. სასამართლოში გამოჩენისას ის მოსამართლეთა წინაშე დაჯდა. “ადექი იანაი – მიმართა მას რაბიმ – შენ ხომ ხალხის წინაშე არ დგახარ, შენ დგახარ მის წინაშე, ვინც სამყარო შექმნა.“ „დაე, სასამართლომ გადაწყვიტოს როგორ მოვიქცე, დავდგე თუ დავჯდე, რას იტყვიან სანჰედრინის დანარჩენი წევრები?“ რაბი შიმონ ბენ შეტახი (ამასთან, ის იანაის ცოლის ძმა იყო) მიუბრუნდა სანჰედრინის დანარჩენ წევრებს და დაინახა, რომ ისინი ვერ ბედავდნენ მეფის შეწინააღმდეგებას. მაშინ რაბიმ განუცხადა მოსამართლეებს: „თქვენ არც აპირებთ სამართლიან განსჯას. თქვენ მოაყვანინეთ მეფე იმ იმედით, რომ მოწმეებს შეეშინდებოდათ მეფის და გაამართლებდით მის მონას (ყმას). რადგანაც თქვენ ცოდვიანი აზრები გაწუხებთ, დაე, განსაჯოს მან, ვინც იცის ადამიანთა ფიქრები.“

მაშინ გამჩენმა ანგელოზი გამოაგზავნა და მოაკვლევინა მოსამართლეები. მოსამართლეები ასე სატიკად იმიტომ დაისაჯნენ, რომ სამართლიანი განსჯა – ეს არის ერთ-ერთი იმ სამ საყრდენთაგანი, რომლებზედაც სამყარო დგას.

ამასთან სანჰედრინს სიკვდილის განაჩენი ძალიან იშვიათად გამოჰქონდა. საჭირო იყო დანაშაულის დამამტკიცებელი ძალიან სერიოზული პირობები. გემარა გვიხსნის, რომ სანჰედრინი, რომელსაც 70 წლის განმავლობაში 1 სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა სისხლიანად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მაშინ, როცა ებრაელი ხალხი თორის კანონებს იცავდა, დანაშაული ძალზე იშვიათად ხდებოდა. ტაძრის დანგრევის შემდეგ სანჰედრინს საერთოდ აღარ გამოჰქონდა სიკვდილის განაჩენი.

ისრაელის მიწაზე დამკვიდრების შემდეგ ებრაელ ხალხს უნდა დაენიშნა ებრაელთა მეფე, რომელსაც აირჩევდა წინასწარმეტყველი გამჩენისაგან და სანჰედრინი. პირველი ებრაელი მეფე, რომელიც მეფედ აკურთხა წინასწარმეტყველმა შმუელმა, იყო მეფე შაული.

ებრაელთა მეფე ვალდებულია იცავდეს თორის კანონებს, უნდა მართავდეს საკუთარ ხალხს, დანერგოს ქვეყნად სიწმინდე და სამართლიანობა, აწარმოოს ომები და განსაჯოს საკუთარი ხალხი. მაგალითად, მეფე დავითი სანჰედრინს ედგა სათავეში.

იმისათვის, რომ მეფემ არ გამოიყენოს მაღალი თანამდებობა პირადი განდიდებისათვის, თორა მას აკრძალვებით ზღუდავს:

1. მას არ უნდა ჰყავდეს ცხენები საჭიროების გარეშე, ანუ ცხენები აუცილებელია ეტლებისა და არმიისათვის.
2. მას არ შეიძლება ჰყავდეს განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი ცოლი.
3. მას არ შეუძლია დააგროვოს იმაზე მეტი სიმდიდრე, რაც საჭიროა არმიის შესანახად. გარდა ამისა, ის ვალდებულია დაწეროს თავისთვის თორის გრაგნილი და 7 წელიწადში ერთხელ, სუქოთის დღესასწაულზე ყველა ებრაელის თანდასწრებით წაიკითხოს ნაწყვეტები წიგნიდან „დვარიმ“.

ბედნიერია ის ხალხი, რომელთა მეფეებსაც ასეთი მცნებები აქვთ მაშინ, როცა ისინი ამ მცნებებს ასრულებდნენ. მეფეზე (ისევე როგორც ნებისმიერ ლიდერზე) ხომ ბევრი რამაა დამოკიდებული.

ებრაელთა ისტორიაში ხშირად ცოდვილ მეფეებს ხალხიც ცოდვისაკენ მიჰყავდათ, ხოლო წმინდან მეფეებს, პირიქით – თეშუბისა და კეთილი საქმეებისკენ. ასეთები იყვნენ დავითი, შლომო, იეჰოშაფატი და სხვა ებრაელი მეფეები. მაშიახი ასევე იქნება მეფე დავითის შთამომავალი. ის ყველა ებრაელს ისრაელის მიწაზე მიიყვანს, ააშენებს მესამე ტაძარს და დააბრუნებს ყველას თეშუბაზე.

გამჩენმა ქნას, რომ ეს სულ მალე, ჩვენს დროში მოხდეს.

# დიდი შენაძენი

ცნობილმა მთარგმნელმა, ქალაქ ხოლონის ვიცე-მერმა შალომ დავიდმა კიდევ ერთი სერიოზული ნამუშევარით გაამდიდრა ქართველი ებრაელობის ბიბლიოთეკა — ისრაელში გამოიცა თეჰილიმის — საგალობელთა წიგნის ახალი, შალომ დავიდისეული თარგმანი.

წიგნი გამოსცა საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრმა და ეძღვნება საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბისა და დიდი სულიერი ხელმძღვანელის — რაბი იმანუელ დავითაშვილის ნათელ ხსოვნას.

თეჰილიმ — ამ ხელიხელ საგოგმანებელი წიგნის საკადრის მაღალ პოლიგ-რაფიულ დონეზეა გამოცემული, ჩასმულია მაგარ გარეკანში და უსათუოდ დაამშვენებს დიდი პოეზიის მოყვარულთა ბიბლიოთეკას.

თეჰილიმს ერთვის შალომ დავიდისავე შესავალი წერილი, რომელშიც მიმოხილულია დიდი მეფე დავითის ეს უკვდავი ქმნილება, რომელსაც „მენორა“ უახლოეს ნომერში შესთავაზებს მკითხველს.




# „მთელი ცხოვრება რაღაცას ვეძებთ“




ისრაელში ქართულ ენაზე მეტად ორიგინალური ხასიათის წიგნი გამოვიდა — ეს არის ლექსების დიდი, ალბომისებური კრებული./ მასში შესულია ქართველ ებრაელ პოეტთა ის ლექსები, რომლებზეც მუსიკა დაიწერა და მუსიკოს შემსრულებლები მღერიან.

წიგნის რედაქტორისეულ შესავალ წერილში აღნიშნულია: „წინამდებარე წიგნი გამორჩეულია იმითაც, რომ მასში შესულ ავტორებს, კომპოზიტორსა და სიმღერების შემსრულებლებს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აერთიანებთ, ყველანი ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველოში დაიბადნენ და განვლეს თავიანთი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა მათგანს სხვადასხვა დროს მოუწია მშობლიური კუთხის დატოვება და ისტორიულ სამშობლოში ახალ რეალობასთან შეჯახება...

ახალ რეალობასთან შეჯახების მტკივნეულ პროცესში დაიბადა ის პოეზიაც, რომელსაც მე სულის გაორების პოეზიას დავარქმევდი. ალბათ, ამ ფენომენმა შთააგონა ერთობ ნიჭიერი კაცი, სერიოზული მეცნიერი და მუსიკოსი, დღეს უკვე მთელს ჩვენს თემში აღიარებული კომპოზიტორი ალექსანდრე პელეგი მიახლოებოდა მათ, წაეკითხა და დაენახა წინამდებარე წიგნში შესული 17 ავტორის სულის 17 გაელვება, შეეგრძნო მათი ლექსის მუსიკა.

იდეის ავტორი და გამომცემელია ალექსანდრე პელეგი, რედაქტორი, დიზაინი და გრაფიკა სულო სეფიაშვილი (სეფიელი), ფინანსური მხარდაჭერა რომან ბინიაშვილი.

წიგნში გამოყენებულია გრაფიკული სურათები ინტერნეტ საიტიდან „არტ.რუ“ და მხატვარ ქეთი ბენ სიმონიეს ფერწერული ნამუშევრების ფოტორე-პროდუქციები.



# ქართველი ებრაელი ქალები ისრაელში

## სიმა თავდი



**ფიჩხაძე რიმა** — დაიბადა ქ. ქუთაისში. ისრაელში ამოვიდა მშობლებთან ერთად. გათხოვდა ისრაელში და დასახლდნენ ქ. იერუსალიმში. მეუღლე დავით ფიჩხაძე — პროფესიით ეკონომისტი — სახელმწიფო სამსახურის მუშაკი. ჰყავთ ორი შვილი და შვილიშვილები. აქვთ ტრადიციული ებრაული ოჯახი.

რიმამ ისრაელში დაამთავრა საბუღალტრო კურსები და მუშაობა დაიწყო საქართველოდან გამოსულთა პირველ გაერთიანებაში, რომელსაც იმ დროს ხელმძღვნელობდა ბატონი ბარ-ლავი-ბალუაშვილი. იყო მისი უშუალო მდივანი წლების განმავლობაში და შეიძლება ითქვას, დიდად ეხმარებოდა ქართველ ებრაელობას აბსორბციის პრობლემების გადაჭრაში. რიმა იყო შემაკავშირებელი ჯაჭვი რაფი ბარლავისა ქართველ ებრაელებთან.

თავაზიანი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი და პასუხისმგებელი მუშაკი — ცდილობდა გზა გაეკვლია ისრაელის საზოგადოებაში. 1980 წელს იგი მუშაობას იწყებს სახელმწიფო საფოსტო განყოფილებაში — ბუღალტრად. ნიჭიერი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უფროსებს და მისი შრომა ღირსეულად იქნა შეფასებული.

1997 წელს საუკეთესო მუშაობისათვის რიმა დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო სიგელით.

რიმა დღესაც დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად განაგრძობს თავის პროფესიულ საქმიანობას საფოსტო განყოფილებაში. აქტიურად მონაწილეობს ჩვენი თემის საზოგადოებრივ საქმიანობაში.



**შამლი-შამლიკაშვილი სიმა** — დაიბადა ქ. ქუთაისში.

— 1970 წელს დაამთავრა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ისრაელში ამოვიდა 1972 წელს დედასთან და და-ძმასთან ერთად. დასახლდნენ იერუსალიმში. აქვე გაიარა მასწავლებელთა დახელოვნების ორწლიანი კურსები და მუშაობა დაიწყო მათემატიკის მასწავლებლად 10-11 კლასებში „დენემარკის“ სკოლაში, სადაც მუშაობდა 1978 წლამდე. შემდეგ მონაწილეობა მიიღო ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში — ვაკანტურ ადგილზე — მეორე მსოფლიო ომის ინვალიდთა და პენსიონერთა ხელფასის გამანაწილებელი განყოფილების წამყვანი თანამშრომლის ადგილზე. ნიჭიერმა ახალგაზრდამ გაიმარჯვა კონკურსში. დღემდე კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. დანიშნულია განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და სარგებლობს ადმინისტრაციის დიდი პატივისცემით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ომის ინვალიდთა ხელფასების განაწილება, შემოწმება და შემოსული საჩივრების განხილვა-გარჩევა.

საუკეთესო და ნაყოფიერი მუშაობისთვის, ფინანსთა სამინისტროს მიერ 1992 წელს იგი დაჯილდოებულია „წარჩინებული მუშაკის“ სიგელით და ფულადი პრემიით. ამასთანავე მიღებული აქვს სპეციალური სიგელი რაციონალიზატორული წინადადების წამოყენება-დანერგვისათვის.

ცხოვრობს იერუსალიმში მეუღლესთან ერთად.



**ჩიკვაშვილი-ჩიკო ნონა** — დაიბადა ქ. თბილისში. დაამთავრა ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა და სამედიცინო სასწავლებლის კურსები მედდის სპეციალობით. ისრაელში ამოვიდა 1987 წელს მეუღლესთან და ორ პატარა ბავშვთან ერთად. ულპანის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სხვადასხვა რიგით სამუშაოებზე არა სპეციალობით და პარალელურად სწავლას აგრძელებს კომპიუტერის კურსებზე, რომელსაც დღეს ფლობს უნივერსალურად. 1988 წელს მუშაობას იწყებს აბსორბციის სამინისტროში შრომითი დასაქმების განყოფილების წამყვან ინსტრუქტორად. რამდენჯერმე იყო გაგზავნილი რუსეთსა და საქართველოში მომავალი რეპატრიანტებისათვის ინსტრუქტაჟის და რჩევითი დახმარების გასაწევად. წლების განმავლობაში ატარებდა სპეციალურ ინსტრუქტაჟს სხვადასხვა ქვეყნებიდან ახალ ჩამოსულ რეპატრიანტებთან ულპანებში. ხელმძღვანელობდა რეპატრიანტთა სამუშაოზე მოწყობის და დასაქმების პროექტებს, ადვოკატების, ინჟინერთა და მასწავლებელთა სწავლა-დასაქმებას და მათი ფინანსური საქმეების მოგვარებას. ითვლებოდა რაციონალიზატორული წინადადებების და ახალ რეპატრიანტთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხების სარევიზიო კომისიის წევრად. დანიშნულია სამინისტროში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების მოწყობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

მუშაობის პერიოდში ნონამ გაიარა სხვადასხვა კურსები.

ნონა მეტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, გაბედული და ვაჟკაცური შემართების ქალია, საუკეთესოდ ფლობს ივრითს, შესწევს ძალა და უნარი საზოგადოებრივი საქმის მართვის, კომუნიკაბელურია.

საუკეთესო და ნაყოფიერი მუშაობისათვის 1998 წელს დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ პირველი საფეხურის სიგელით და ფულადი პრემიით.

ნონა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ორი წლის წინ მონაწილეობა მიიღო „სოხნუთის“ და გეოგრაფიული საზოგადოების მიერ მოწყობილ მსვლელობაში — საქართველოში, სადაც წარმატებით დაიმსახურა „უდაბნოს დედოფლის“ წოდება.

გასულ წელს ამავე საზოგადოების მიერ წარგზავნილი იყო ტაილანდში.

არის იერუსალიმის თეატრალური დასის წევრი.

**ბალუაშვილი-ბარ-ლავი ლიანა** — დაიბადა ქ. ქუთაისში. მეორე მსოფლიო ომის გმირის ხანანაშვილის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობდა ქალაქის ენდოკრინოლოგიურ დისპანსერში შალვა ჩიკვაშვილთან განყოფილების მთავარ ექთნად. ისრაელში ამოვიდა მშობლებთან ერთად. ულპანის დამთავრების შემდეგ სწავლას იწყებს იერუსალიმის „ჰადასას“ სამედიცინო სასწავლებელში — დახელოვნებული ექთნის წოდების მისაღებად. 1974



წელს უკვე ამ წოდებით მუშაობას იწყებს ამავე საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში. წლების განმავლობაში ასრულებდა ფორიის (განვითარების) და პროგრესის (მშობიარობის წინა გართულებების) სამკურნალო განყოფილების უფროსი ექთნის მოვალეობას. მუშაობის პერიოდში გამოირჩეოდა დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით ავადმყოფების და მშობიარეების მიმართ. გამოირჩეოდა თავისი საქმის საუკეთესო ცოდნით, შრომით, წესრიგით და დისციპლინით. იმსახურებდა კოლექტივის დიდ პატივისცემას და სიყვარულს. 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საავადმყოფო „ჰადასას“ სამშობიარო განყოფილებას.

ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისთვის 1986 წელს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ იგი დაჯილდოებულია „საუკეთესო მუშაკის“ სიგელით. მიღებული აქვს ჯილდო „ოქროს საბნევი“ საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, პროფესორ შინკარის და განყოფილების უფროსის საპატიო სიგელი.

30 წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ დღეს პენსიონერია. ჰყავს 4 შვილიშვილი და მეუღლესთან ერთად ახალგაზრდული ენერგიით სათავეში უდგას ოჯახს. უყვარს მგზავრობა, კითხვა, სპორტი. მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.



**აჯიაშვილი-იოსებაშვილი ნანა** — დაიბადა საქართველოში, ქ. ზუგდიდში.

1977 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 51-ე საშუალო სკოლა.

1983 წელს კი თბილისის სამედიცინო კოლეჯის სრული კურსი — ბებია ქალის განხრით. ოჯახური მდგომარეობის გამო 1989 წლიდან 1998 წლამდე ცხოვრობდა ქ. მოსკოვში.

მუშაობდა მოსკოვის 65-ე სამშობიარო სახლში თავისი პროფესიით — ბებია-ქალად.

1998 წლის ბოლოს ამოვიდა ისრაელში ოჯახით. ჰყავს ორი შვილი, ცხოვრობს ქ. ხოლონში, ისრაელში წარმატებით დაიცვა მედიცინის დის დიპლომი და გახდა კვალიფიციური მედდა.

1999 წლიდან — 2001 წლამდე მუშაობდა საავადმყოფო „ვოლფსონში“. 2001 წლიდან დღემდე წარმატებით მუშაობს სკოლა-ინტერნატში უფროს ექთნად.

2004 წელს დანიშნული იქნა სკოლის დირექტორის მოადგილედ სამედიცინო დარგში.

ყურადღებიანი, მზრუნველი, პასუხისმგებელი მუშაკი, მუდამ მზადაა სათანადო დახმარება გაუწიოს, სითბო და მგრძნობიარე გული აჩვენოს სკოლა-ინტერნატის თითოეულ მოსწავლეს თუ თანამშრომელს.

კეთილსინდისიერი და გულთბილი მუშაობისათვის სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციის, სამედიცინო პერსონალის მიერ დაჯილდოებულია „წლის საუკეთესო მუშაკი“-ს წოდებით.

ნანა აქტიურად მონაწილეობს ჩვენი თემის საზოგადოებრივ საქმიანობაში. მუდამ მზად არის მხარში ამოუდგეს მის ირგვლივ მყოფ მეგობრებს — დახმარების ხელი გაუწოდოს ხანდაზმულებს. მონაწილეობს თორის შემსწავლელ



ქალთა წრეში.

**მოშიაშვილი სარა დავითის ასული** — დაიბადა და გაიზარდა ქ. ქუთაისში.

წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ქუთაისის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ბალანჩივაძის სახ. მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით. 17 წელიწადს ასწავლიდა ქუთაისის მუსიკალურ სკოლაში. გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, მოსწავლეებისადმი უსაზღვრო გულისხმიერებით და თბილი, მშობლიური დამოკიდებულებით.

1972 წელს ამოვიდა ისრაელში მეუღლესთან ერთად და შეუდგა ივრითის შესწავლას, რომელიც აგრეთვე დიდი წარმატებით დაამთავრა, სამუშაოდ მიიწვიეს აბსორბციის სამინისტროს ხაიფის ოლქში სტუდენტთა განყოფილების გამგედ. სამინისტროში 28 წელი იმუშავა.

ისრაელში ამოსვლიდან 4 წლის შემდეგ გარდაეცვალა მეუღლე. ამ დროიდან მოყოლებული მარტო ეწეოდა ცხოვრების უღელს.

სარას აბსორბციის სამინისტროში ახალამოსულებთან მუშაობამ გადაატანინა პირადი ტრაგედია. მან მიზნად დაისახა მთელი თავისი ახალგაზრდული შემართება და ენერგია ქვეყნის ახალი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის მოეხმარებინა და შეასრულა კიდეც. იგი თავდაუზოგავად მუშაობდა და გზას უკვლევდა რეპატრიანტებს, ახალ გარემოში სწრაფი ინტეგრაციისათვის: ეს ეხებოდა მათ მოწყობას სასწავლებლებში, ბინის საკითხის მოგვარებას, სამსახურის მოძიების, ავადმყოფებისათვის განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენის და სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებას.

სარა მოშიაშვილი ნაყოფიერი მუშაობისათვის აბსორბციის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ 3-ჯერ არის დაჯილდოებული „წარჩინებული თანამშრომლის“ საპატიო წოდებით.

ამჟამად სარა პენსიონერია — ცხოვრობს ხაიფაში.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „მენორა“ №12,13,14

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

JAFI

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი